ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა ადამიანები ოპტიმიზმით და მტკიცე რწმენით შეყურებენ მომავალს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმები წარმატებით განხორციელდება. აღნიშნავენ, რომ პარტიის მთელი საქმიანობის მიზანია უზრუნველყოს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და კომუნიზმისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გაზეთი „ნაციონალ-ციტუნგი“, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გამოდის, ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა მშრომელთა ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება. ამასთან დაკავშირებით გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს მუშაობის ხარისხის ყოვლმხრივ გაუმჯობესებას ყველა რგოლში.

ბერლინის მეორე გაზეთი „დერ მორგენი“ აღნიშნავს განუყრელ კავშირს საბჭოთა ადამიანების შორის მიღწეულებსა და საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობის საგარეო პოლიტიკის წარმატებებს შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ისწრაფვის გაღრმავოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, წერს ღიმს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებთან შეხვედრისას წარმოთქმულმა სიტყვამ ძალიან მკაფიოდ გვიჩვენა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მშვიდობიანი ხასიათი, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, გერმანელთა მშვიდობის კავშირის ფრანკფურტის ტერიტორიული წევრმა ი. ვებერმა. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები — მშვიდობიანი თანაარსებობა და ხალხთა თანამშრომლობა — შეესაბამება არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ ევროპელ სხვა ქვეყნების ხალხების, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის თანამმძღოლი ერული და მკაფიო სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები, ვეშმარიტად მსოფლიო აღიარებას პოულობს, თქვა ვენის უნივერსიტეტის მშვიდობის პრობლემათა კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტმა, პროფესორმა რ. ვაილერმა. ეს პოლიტიკა საერთაშორისო ცხოვრებაში სტაბილურობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის მიზანია მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის განხორციელება და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა ყველა ადამიანისათვის, ხაზი გაუსვა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ბრეჟნევმ. სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოკიდებულებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ამითი მისწრაფებების განხორციელებას, ვინც სოციალური პროგრესისათვის იბრძვის.

„მშვიდობა უნდა შეეანარჩუნონ“ — ასეთი სათაურით უძღვნის კომენტარს ლ. ი. ბრეჟნევის სტატიას ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის მუშებთან შეხვედრასე ინტერვიუ გაზეთი „სტეიტსმენი“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინადადებანი სამართლიანი მშვიდობის საუფლების საქმეში ბრძოლის საქმეში პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ — ეს არის „კონკრეტიზაცია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამისა, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ მიიღო, წერს გაზეთი. საბჭოთა კავშირი შემოხვევით რიდი გამოდის საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლად. მას ომის წლებში წილად ხვდა ჩრისხანე გამოცდა. სწორედ ამიტომ საბჭოთა ხალხი ჯერეკნად აფასებს მშვიდობიანი წინსვლითი განკითარების შესაძლებლობებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ახალი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე გადაწყვეტილებისა, რომ უკეთესი ცხოვრება შეუქმნას საბჭოთა ხალხს.

(საკდესი).

ბრაზილიის ურთიერთობა ვიეტნამთან

განიხილეს სსრ კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ათეული რიგი საკითხები

რიორიკო. (არიზონის შტატი), (საკდესი). დამთავრდა სხდომები სამუშაო ჯგუფებისა, რომლებიც შექმნეს აქ ბიდენერე დარტმუტის კომფერენციის — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური. მეცნიერული, საქმიანი და ხაზგადმოგბრიდი წრიების წარმომადგენელთა ფორუმის მონაწილეებმა. პირველ სამუშაო ჯგუფში იხილავდნენ დაძაბულობის შენელებისა და შეიარაღების შეზღუდვის პრობლემებს, ეარეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგად საკითხებს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეარეთვე ევროპაში არსებულ მდგომარეობას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგების შესაბამისად. მეორე სამუშაო ჯგუფმა განიხილა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები. მესამეში იხილავდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური ურთიერთობის საკითხებს.

დისკუსიას „კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა. დაადასტურეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მომხდარი პოზიტიური ძვრების დიდი მნიშვნელობა, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და განმტკიცების საჭიროება.

კრიზისი გრძელდება

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანში გრძელდება სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულობა რამდენადმე შენელდა განვლილ ორ დღესთან შედარებით, 3 მაისს სროლა და ბრძოლა იყო დედაქალაქის ბეერიაონში, აგრეთვე ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში.

პროგრესული პარტიებისა და ძალების წარმომადგენლებმა თათბირის შემდეგ გამოაქვეყნეს კომუნიკე, რომელშიც მოითხოვეს, რომ გაგრძელდეს სამხედრო დაზავება, რათა პრეზიდენტის არჩევნებმა უშიშროებისა და სიმშვიდის ვითარებაში ჩაიაროს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დ. ბრაუნმა დამბრუნებისთანავე განაცხადა კონსულტაციები ლიბანელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

ამერიკის სამხედრო ხომალდების ყოფნა ლიბანის ნაპირებთან, აგრეთვე ნატოს მომავალი მანევრები ხმელთაშუა ზღვაში აშფოთებს ლიბანის ეროვნულ-პროგრესულ ძალებს, რომელთა აზრით ასეთ მოქმედებას შეუძლია კიდევ უფრო გაამწვავოს კრიზისი ქვეყანაში.

დიდმნიშვნელოვანი წვლილი

ისრაელის დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა მანიფესტაცია ტელ-ავივში

რომი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ებრაელობა და ისრაელმა მშრომელმა, ებრაელებმა და არაბებმა — კომუნისტებმა, სოციალისტებმა, სხვა დემოკრატიული ძალებს წარმომადგენლებმა ტელ-ავივში გამართეს დემონსტრაცია.

დემონსტრაციის ფამფარების შემდეგ გამართულ მიტინგზე ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ვილნერმა აღნიშნა, რომ ერთიანი მანიფესტაცია ისრაელის მუშათა კლასის დიდმნიშვნელოვანი წარმატებაა მთავრობის ანტიმუშური და ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორატორმა მოუწოდა პროგრესულ ძალებს შეკავშირდნენ ერთიან ფრონტად, რათა წარმატებით გაუწიონ წინააღმდეგობა ისრაელის ექსტრემისტულ და შოვინისტურ ძალებს.

ხაზი გაუსვა რა მშვიდობიანი კავშირის თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მშრომელთა ბრძოლის ნიკერების ბრძოლას შორის, მ. ვილნერმა განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ მშვიდობიან ინიციატივას — საბჭოთა მთავრობის განცხადებას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი წვლილია ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში, განაცხადა მან.

არჩევნების დრო დანიშნულია

რომი. (საკდესი). პარლამენტის ვადამდელი არჩევნები იტალიაში დანიშნულია მომდინარე წლის 20 და 21 ივნისისათვის. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ა. მოროს კაბინეტის აქ გამართულ სხდომაზე. საარჩევნო კამპანია დაიწყება 6 მაისს — არჩევნების დაწყებამდე 45 დღით ადრე.

აქტიურად ემზადება ამ კამპანიისათვის იტალიის კომუნისტური პარტია. კომუნისტები წამოაყენებენ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია ეკონომიური სიძნელეების გადალახვა, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ. სამე ეხება იმას, აღნიშნავს გაზეთი „უნიტა“, რომ იტალია იხსნან ათეული წლების განმავლობაში ქვეყნის არასწორი მართვის უარყოფითი შედეგებისაგან. კრიზისს დაძლევა, აღნიშნავს გაზეთი, შეუძლებელია იტალიის პოლიტიკურ მართვაში კოალიციებს, ვინც სოციალური პროგრესისათვის იბრძვის.

„მშვიდობა უნდა შეეანარჩუნონ“ — ასეთი სათაურით უძღვნის კომენტარს ლ. ი. ბრეჟნევის სტატიას ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის მუშებთან შეხვედრაზე ინტერვიუ გაზეთი „სტეიტსმენი“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინადადებანი სამართლიანი მშვიდობის საუფლების ბრძოლის საქმეში ნაბიჯების შესახებ — ეს „ეარეთვე ევროპელ ხალხებს ეხმიანებიან“, ეარეთვე ევროპელ ხალხებს ეხმიანებიან ეს ინიციატივები, — ეს

დედის ნაამბობი

ახალი ცნობები ირინე სხირტლაძის გიოგრაფიიდან

რუბრიკ კი მივაგენი ვროცლავში მცხოვრებ ირინე სხირტლაძის დედას და მისგან წერილები მივიღე, პოლონეთში წასვლა გადავწყვიტე. მინდოდა მალე მენახა იგი და უმუალოდ მისი ნაამბობით გამეგო, როგორი იყო ჩვენი გმირი გოგონას ცხოვრება.

საქართველოს ჟურნალისტ ქალთა ჯგუფთან ერთად პოლონეთში გავემგზავრე. წინასწარ იანინას დეპეშა გავუგზავნე, სადაც ვთხოვდი, რადგან ჩვენს სამოგზაურო მარშრუტში ვროცლავი არ შედიოდა, პოზნანში ჩამოსულიყო და იქ შევხვედროდით ერთმანეთს.

პოზნანში ქალაქის გაცნობის შემდეგ, იანინას ვესტუმრე. ჩემს წინ იდგა საშუალოზე ცოტა მაღალი ტანის, გამხდარი, ჭაღარა, სათვალიანი ქალი. იგი აკანკალებული ხელებით მეხვეოდა, თან ცრემლებს ძლივს იკავებდა, მე ხომ პირველი ქართველი ვიყავი, რომელსაც ჭმრის დაღუპვის შემდეგ საქართველოდან ჩასულს ხვდებოდა.

დიდსანს უმზოდ შევცქეროდით ერთმანეთს. მდილვარებით აწოლებულ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, თვალებში უსაზღვრო სიყვარული გამოსჭვიოდა.

იანინამ ხელჩანთა გახსნა და იქიდან თავისი ქმარ-შვილის ადრინდელი ფოტოსურათები ამოიღო — ძვირფასი მოსაგონარი, რომელიც მას ომის შემდეგ გადაურჩა. მან ირინეს რამდენიმე ფოტოსურათი გადმომცა.

ვთხოვ მიამბოს თავის ოჯახზე, ირინეს ბავშვობაზე. მოხუცს უჭირდა იმ მძიმე დღეების გახსენება, მაგრამ გრძნობდა, რამდენად საინტერესო იყო ჩემთვის მისი ნაამბობი და თხრობა დაიწყო.

მიამბობდა არკადი სხირტლაძესთან დაქორწინებაზე, პირველ სიხარულზე, როცა 1928 წლის 7 აპრილს ირინე შეეძინათ, შემდეგ მეორე ქალიშვილის, ქრისტინას დაბადებაზე, დემბლინში მათს ბედნიერ ცხოვრებაზე. აქ ირინე უკვე სკოლაში დადიოდა და კარგი სწავლით ცდილობდა ასახარებდა.

1939 წელს კი, როცა გერმანელი ფაშისტები მოულოდნელად თავს დაესხნენ პოლონეთს, სხირტლაძეების ბედნიერება დაიმსხვრა. არკადი ერთ-ერთ საპაერო ბრძოლაში დაიღუპა. იანინა დაბომბვის შემდეგ დემბლინში თავის სასლს რომ დაუბრუნდა, იგი უკვე გერმანელებს დაეკავებინათ. მათი საოჯახო ნივთები კი გარეთ გამოეყარათ. ქალი იმდენად იყო შეშინებული, რომ ბინასთან ახლოს მისვლაც ვერ გაბედა. დარჩა უსახლკაროდ ორი პატარა გოგონათი, დედითა და უმცროსი ძმით, რომლებიც იმხანად მასთან ცხოვრობდნენ.

იანინა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა — თავისი შვილებით ხან რომელ ნაცნობთან მივიდოდა ღამის გასათევად, და ხან რომელთან. სამუშაოც ვერსად იშოვნა. აღარ იცოდა, ბავშვები როგორ გამოკვება. ბოლოს გადაწყვიტა ხელმში წასულიყო, სადაც რძალი — ძმის ცოლი ცხოვრობდა. გაყიდა რაც რამე ებადა, იქირავა ცხენიანი ურემი და გაემზავრა.

— საშინელებაა ჩემთვის ხელმის გახსენება, — იგონებს იგი. — იქ აუტანელი პირობებში ვცხოვრობდით. ფაშისტები გამუდმებით ნადირობდნენ ჩვენზე. ქუჩაში უცემ ალყას მოაწყობდნენ და ვისაც დაიკავებდნენ, სულ ერთი იყო მათთვის, ახალგაზრდა იქნებოდა თუ მოხუცი, ბავშვი თუ ქალი, ადგილზეც სოკავდნენ, ან საკონცენტრაციო ბანაკში მიერეკებოდნენ.

ჩვენთან ახლოს პროფესორი კარანტერი ცხოვრობდა. მის გოგონას ირინე ძალიან უყვარდა და ხშირად ჩვენთან მოდიოდა. ერთ დღეს ირინე კარანტერის შვილთან და მეზობლის ორ გოგონასთან ერთად ქუჩაში აღყის დროს პოლიციელებმა დაიჭიროს და წაიყვანეს. ბედად ეს ამბავი კარანტერმა შეიტყო, მაშინვე პოლიციაში მიირბინა, იქაურ მოხელეს ქრთამი მისცა და თავიანი გოგოც და ირინეც გამოიხსნა.

მაშინ ირინე ასე 14 წლისა იყო. ამ ამბის შემდეგ ძალიან შეეშინდი. საწყალ გოგოს გარეთ გამოსვლას ვუკრძალავდი, მაგრამ ამით საფრთხეს მაინც ვერ ავაცდენდი.

დადგაწყვიტე ხელმი სასწრაფოდ დაგვეტოვებინა. მოვემზადეთ და მეორე დილით ვარშავაში გავემგზავრეთ, სადაც ჩემი უფროსი ძმა ეჟი ცხოვრობდა.

ეს იყო 1943 წლის შემოდგომაზე.

ვარშავაში ჩემ ძმასთან დავბინავდით. მაგრამ მას მეტად პატარა ბინა ჰქონდა და საცხოვრებლად ირინეს ნათლიასთან — სოფია ივაშკევიჩთან გადავედით.

გადავწყვიტე ირინე სასწავლებელში მიმბარებინა. სოფიამ მირჩია ირინე საკაბრო ტექნიკუმში შემეყვანა. გავიგე მისამართი და ირინესთან ერთად ვოლჩანსკის ქუჩისკენ გავეშურე.

სასწავლებელში სწავლა უკვე სამი თვის დაწყებული იყო, ტექნიკუმის დირექტორმა მითხრა, ვაი თუ გოგონა სხვებს ვერ დაეწიოსო, მაგრამ როცა ირინე მათემატიკაში გამოსცადა, მოეწონა მისი პასუხები და სასწავლებელში ჩარიცხა, მან გაცდენილი თვეების ფულის გადასახადიც მოთხოვა. ქორწინების ბეჭედი გავყიდე და ამ საფასურით სწავლის ქირა გადავიხადე.

ამავე დროს ირინეს საკონსერვო ქარხანაში დავაწყებინე მუშაობა, ურიკებით ნახშირს ეზიდებოდა. საწყალ გოგონასთვის მუშაობა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ რა გვქონა, ცხოვრება ძალიან გვეჭირდა, არაფერი იშოვებოდა, საშინელი სიცივე და შიმშილი იყო.

ირინეს ტექნიკუმში ძალიან უწყობდნენ ხელს, გოგონა თავის სამუშაო დღეებში სასწავლებელს აცდენდა, მაგრამ მუყაითი შრომით გაცდენილ საათებს მაინც ინაზღაურებდა. ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ დირექტორმა მის უფროს კლასში გადაყვანა მოინდომა, მაგრამ მე არ დავთანხმდი. ბავშვი ისედაც დატვირთული იყო. სამუშაოდან რომ მოდიოდა დაეძინა, მერე ღამით გაკვეთილებს ამზადებდა. თან საცხოვრებელი პირობები გვქონდა აუტანელი. სამსახური ქალაქის მეორე განაპირა რაიონში, პრაგაში ჰქონდა, შორს უსდებოდა სიარული.

ეს მოხდა 1944 წლის ივლისის მიწურულს. ირინე რაღაც განსაკუთრებით სერიოზული გახდა. თითქოს უცებ გაიზარდო. ერთ საღამოს მეუბნება — დედი, შენ და ქრისტინა სადმე ქალაქგარეთ, სოფლად უნდა წახვიდეთ, აქაურობას უნდა გაეცალოთო.

მე ვეუბარი, თუ შენც ჩვენთან ერთად წამოხვალ, წავალთ, თუ არა და, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიმეთქი.

ირინე მარწმუნებდა, რომ აუცილებლად წავსულიყავით, თან მპირდებოდა — თვითონაც მალე ჩამოვალო. მეუბნებოდა, ქარხნის დირექტორი კარგ ფულს გვიხდის, ამ ფულით პროდუქტებს ვიყიდი და ჩამოვალო, მაგრამ მისი არ მჯეროდა და წასვლა არც მიფიქრია. აბა ჩემს გოგოს როგორ მივატოვებდი.

ირინეს ერთი ლამაზი ფეხსაცმელი ჰქონდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ასვე სიყვარულით ინახავდა პატარა ჩანთას, რომელშიც ჩვენი ოჯახის წევრების ფოტოსურათები ჰქონდა შენახული. მან ქრისტინას სთხოვა, როცა სასლში არ ვიყო და რაიმე საფრთხე შეიქმნას, ეგ ფეხსაცმელი და ჩანთა შეინახეო.

უკანასკნელად ჩემი გოგონა 1944 წლის 1 აგვისტოს ვნახე. ირინე დილის 6 საათზე წავიდა თავის ქარხანაში, მე კი ჩემს სამსახურში გავემართე, რომელიც ოპერის თეატრთან ახლოს იყო. ქუჩაში რაღაც არეულობა იგრძნობოდა. ტრამვაი არ მუშაობდა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიდი-მოდიოდა.

დღის პირველ საათზე გარეთ რომ გამოვედი, ქუჩის მეორე მხარეს ირინე შევნიშნე. მას ხელი რაღაც შეხვეულები ეჭირა. რომ დამინახა, გაუსარდა, სასწრაფოდ ჩემთან ვიირინა და შესვეულები გადმომცა.

— დედი, ეს ძეხვი და კონსერვებია, სასლში წაიღეო, — მერე მაკოცა და მალვე გამშორდა.

არასოდეს დამავიწყდება მისი სიდადინი თვალები. იგი დიდხანს მიყურებდა, თითქოს მემშვიდობებოდა. მეც შემინებულმა გავაყოლე თვალი. რა ვიცოდი, რომ მას უკანასკნელად ვხედავდი.

ხუთ საათზე სტარუვციდან სროლის ხმა გაისმა. ალაფყებულებმა გარკვეული წარმატებებს მიაღწიეს. უნდა გენახათ ქალაქში რა ხდებოდა. დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ იყო გამოსული. ჩვენს ქუჩაზე ტრამვაი გადაბარბენეს და მის გარშემო ბარიკადების აშენება დაიწყეს. ერთ-ერთ ქუჩაზე ალაფყებულებმა გერმანელთა ტანკი ააფეთქეს. პატარები დამწვარ ტანკს სიხარულით გარს უვლიდნენ.

მაგრამ წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. გერმანელებმა შესძლეს მთავარი საკვანძო პუნქტების ხელში ჩაგდება, რაც მთავარია, შეინარჩუნეს რკინიგზა. და დაიწყეს გამანადგურებელი იარაღით ნახევრად შეუიარაღებელი, საბრძოლველად მოუმზადებელი ალაფყებულების წინააღმდეგ შეტევა. მოსახლეობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. გერმანელები თვითმფრინავებით ბომბავდნენ საცხოვრებელ სახლებს.

ირინეს მეზობელ ოჯახებს ეშინოდათ ჩემ ოჯახთან ურთიერთობა, ეშინოდათ ჩემ ოჯახთან ურთიერთობა, ეშინოდათ ჩემ ოჯახთან ურთიერთ

ალო, მაგრამ მისი არ მჯეროდა და წასვლა არც მიფიქრია. აბა ჩემს გოგოს როგორ მივატოვებდი.

ირინეს ერთი ლამაზი ფეხსაცმელი ჰქონდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ასვე სიყვარულით ინახავდა პატარა ჩანთას, რომელშიც ჩვენი ოჯახის წევრების ფოტოსურათები ჰქონდა შენახული. მან ქრისტინას სთხოვა, როცა სასლში არ ვიყო და რაიმე საფრთხე შეიქმნას, ეგ ფეხსაცმელი და ჩანთა შეინახეო.

უკანასკნელად ჩემი გოგონა 1944 წლის 1 აგვისტოს ვნახე. ირინე დილის 6 საათზე წავიდა თავის ქარხანაში, მე კი ჩემს სამსახურში გავემართე, რომელიც ოპერის თეატრთან ახლოს იყო. ქუჩაში რაღაც არეულობა იგრძნობოდა. ტრამვაი არ მუშაობდა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიდი-მოდიოდა.

დღის პირველ საათზე გარეთ რომ გამოვედი, ქუჩის მეორე მხარეს ირინე შევნიშნე. მას ხელში რაღაც შეხვეულები ეჭირა. რომ დამინახა, გაუსარდა, სასწრაფოდ ჩემთან ვიირინა და შესვეულები გადმომცა.

— დედი, ეს ძეხვი და კონსერვებია, სასლში წაიღეო, — მერე მაკოცა და მალვე გამშორდა.

არასოდეს დამავიწყდება მისი სიდადინი თვალები. იგი დიდხანს მიყურებდა, თითქოს მემშვიდობებოდა. მეც შემინებულმა გავაყოლე თვალი. რა ვიცოდი, რომ მას უკანასკნელად ვხედავდი.

ხუთ საათზე სტარუვციდან სროლის ხმა გაისმა. ალაფყებულებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. უნდა გენახათ ქალაქში რა ხდებოდა. დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ იყო გამოსული. ჩვენს ქუჩაზე ტრამვაი გადაბარბენეს და მის გარშემო ბარიკადების აშენება დაიწყეს. ერთ-ერთ ქუჩაზე ალაფყებულებმა გერმანელთა ტანკი ააფეთქეს. პატარები დამწვარ ტანკს სიხარულით გარს უვლიდნენ.

მაგრამ წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. გერმანელებმა შესძლეს მთავარი საკვანძო პუნქტების ხელში ჩაგდება, რაც მთავარია, შეინარჩუნეს რკინიგზა. და დაიწყეს გამანადგურებელი იარაღით ნახევრად შეუიარაღებელი, საბრძოლველად მოუმზადებელი ალაფყებულების წინააღმდეგ შეტევა. მოსახლეობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. გერმანელები თვითმფრინავებით ბომბავდნენ საცხოვრებელ სახლებს.

სურათებზე: (ზემოთ) ირინე სხირტლაძე — სურათი გადაღებულია 1944 წლის ივლისში, (ქვემოთ) პოზნანის პანთეონში, ირინე სხირტლაძის საფლავზე. მარცხნივ — იანინა სხირტლაძე.

აქ იწყება გაზეთის გზა



1912 წლის 5 მაისს გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი. პირველი ნომრის გამოსვლის მეათე წლისთავზე 1922 წელს ვ. ი. ლენინის ინიციატივით 5 მაისი გამოაცხადეს ბეჭდვითი სიტყვის საზეიმო დღედ.

კომუნისტური პარტია დიდ შეფასებას აძლევს პრესას, როგორც კოლექტიურ პროპაგანდისტს, აგიტატორსა და ორგანიზატორს, რომელიც ეხმარება მასებს ეკონომიური, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში.

ამჟამად საბჭოთა კავშირში 15 ათასი დასახელების გაზეთი და ჟურნალი გამოდის 335 მილიონი საერთო ტირაჟით. მატულობს წიგნების, ბროშურების, სახელმძღვანელოების ტირაჟი. ფართოვდება და სრულყოფილი ხდება პოლიგრაფიული ბაზა.

გამომცემლობა „მოსკოვსკაია პრავდამ“ პირველად ჩვენს ქვეყანაში აითვისა ოფსეტური მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ბეჭდვის ხარისხს.

ოფსეტური ბეჭდვის გამოცდილებას გამომცემლობის კოლექტივი უზიარებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე კოლეგებს.

სურათზე: გამომცემლობის სტამბის საბეჭდი საამქრო.

ვ. ქრისტოფოროვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ქართული წიგნის ალიარება

შარშან აგვისტოში მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაზე დიდი წარმატება ჰქონდა საქართველოს, ექსპოზიციას.

3 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. თავამიშვილმა გამომცემლობა „ხელოვნების“ კოლეგიტიურ გადასცა-წიგნის საერთაშორისო გამოფენის დიპლომები.

მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების მაღალი დონისათვის დიპლომებით აღინიშნა პლაკატ-ალბომი „ხიშტითა და კალმით“ (შემდგენელი ო. ეგაძე), მონოგრაფიალბომი „ლადო გუდიაშვილი“ (ავტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე) და წიგნი „ქართველი მხატვრები დამიანე“ (ავტორი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი). (საქინფორმი).

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალის ოთხი მატჩი გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

ლვოვის „კარპატი“ უმასპინძლებს კუიბიშევის „ეროლია სოვეტოვს“, ვოროშილოვგრადის „ზარია“ — დონეცკის „შახტიორს“, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — ერევნის „არარატს“.

თბილისის „დინამო“ გათამაშების მეთექვსმეტედფინალში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ გამარჯვების შემდეგ, დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეხვდება ლენინგრადის „ზენიტს“.

მაისში გაიმართება თასის გათამაშების კიდევ სამი მერვედფინალური მატჩი: 6 მაისს — სიმფეროპოლის „ტავრია“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“; 12 — ცსკა — მოსკოვის „ტორპედო“; 27 — ოდესის „ჩერნომორეცი“ — მოსკოვის „დინამო“.

საკავშირო თასის გათამაშების შემდეგი ეტაპი — მეოთხედფინალური მატჩები შედგება 12 ივნისს.

მეორე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის პირველი ზონის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები. რუსთავის „მეტალურგმა“, რომელიც ხუთი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა, ანგარიშით 0:2 წააგო ვილნიუსში ადგილობრივ „ჟალგირისთან“. ხოლო ბათუმის „დინამომ“ ასეთივე ანგარიშით — ბაქოს „ავტომობილისტთან“.

გორის „დილამ“ თავის მოედანზე მოუგო სამტრედიის „ლოკომოტივს“ — 3:2.

მოკლედ

ველოსპორტი. **საბჭოთა ნაკრების** გამარჯვებით დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ველორბოლა „მარკოს ტური-75“. პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ ბრიანსკელი ვიქტორ პანჩენკოვი, ტარტუელი აავო პიკუუსი და მინსკელი ვიკენტი ბასკო. ტანჟერიდან კასაბლანკამდე მდებარე 12 ეტაპიდან (1621 კილომეტრი) **საბჭოთა ოსტატებმა** მოიგეს ცხრა.

სროლა. ინგლისის ქალაქ დორჩესტერში გაიმართა ევროპის თასის გათამაშება. მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა ფინელმა მსროლელმა მარკუს რემესმა, რომელმაც 200 ქულა მოაგროვა 200 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვეცლავ გავლიკოვსკი (პოლონეთი) — 198, მესამეზე — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, სვერდლოვსკელი იური ცურანოვი — 197. ფინელებმა მოიგეს გუნდური სროლაც. მომდევნო ადგილებზე არიან შვეციისა და სსრ კავშირის გუნდები. ქალთა შორის გაიმარჯვა რუტ იორდანმა (გფრ) — 145 ქულა 150-დან. როსტოველი ლარისა გურვიჩმა მესამე შედეგი აჩვენა — 139 ქულა. იუნიორებში პირველი იყო მოსკოველი ალექსანდრე ჩერკასოვი — 196 ქულა.

მძლეოსნობა. **ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაიმართა საზაფხულო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ტრადიციული წრიული ამანათრბენი გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას“ პრიზზე. მთავარი პრიზი — ვერცხლის ლარნაკი მოიპოვა არმიელთა გუნდმა. დინამოელები მას... 18 წამით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზეა „სპარტაკი“.**

ჰოკეი. **როგორიც** არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშების შემდგომი ეტაპის შედეგები, ეს საპატიო პრიზი მხოლოდ მოსკოვში დაიდებს ბინას. საქმე ის არის, რომ გასულ კვირას მოსკოვში, რიგაში, სარატოვსა და ჩელიაბინსკში გამართული მეოთხედფინალური მატჩები დამთავრდა დედაქალაქელ ჰოკეისტთა გამარჯვებით. ამრიგად, დღეს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა — „კრილია სოვეტოვი“ და „სპარტაკი“ — „დინამო“.

ზ. მ. ბიძინაშვილი

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ზ. მ. ბიძინაშვილი — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი; სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

ზ. მ. ბიძინაშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 5 მაისს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (პეკინის ქუჩა № 36). გამოსვენება — 6 მაისს საღამოს 5 საათზე საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობიდან (ცინცაძის პროსპექტი, № 60).

დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე, 1939 წლიდან სკკპ წევრი, ძველი პარტიული მუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი **ზაქარია მოსეს-ძე ბიძინაშვილი.** იგი დაიბადა 1910 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. არასრული საშუალო სკოლა ამავე სოფელში დამთავრა და სწავლა განაგრძო ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ 1934 წელს შეეიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე. 1939 წელს ინსტიტუტი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში გაიწვიეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში სხვადასხვა ფრონტებზე. 1944 წელს მძიმე ჭრილობის გამო დაბრუნდა არმიიდან და მუშაობა დაიწყო ტიბაანის საშუალო სკოლის დირექტორად. 1945 წლიდან იგი პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა, ჯერ პარტიის სიღნაღის რაიკომის ინსტრუქტორად, სიღნაღის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, 1952 წლიდან — სიღნაღის რაიონის აღმასკომის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ, წლიდან 1953 — ბელოვეთის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ. 1953 წელს მას საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველ მდივნად ირჩევენ. 1961 წელს ზ. ბიძინაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს, 1962 წლიდან კი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილედ. 1963 წლიდან იგი საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილეა, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ზ. ბიძინაშვილი რამდენიმეჯერ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ზ. ბიძინაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

სტიქიასთან ბრძოლაში

ლენინგორელებმა მაგალითები გვიჩვენეს

ლენინგორი. 4 მაისი. (საქინფორმის კორ. კ. გაბარაევი). ლენინგორის რაიონის მთებში თოვლის ინტენსიურმა დნობამ, განუწყვეტელმა წვიმამ ხელი შეუწყო ქსნის ძლიერ ადიდებას. საფრთხეში აღმოჩნდა დაბა ლენინგორის რაიონული საავადმყოფოს, სკოლა-ინტერნატის შენობები, საცხოვრებელი სახლები, საწარმოო და კულტურული დანიშნულების ნაგებობები.

როგორც კი წყალდიდობის საფრთხე წარმოიშვა, მდინარის მარცხენა ნაპირზე დაიწყო ჯებირების, მიწაყრილების აგება, ბეტონის ლოდების ჩაწყობა.

მძვინვარ სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა მოსახლეობა, მძლავრი ტექნიკა. ამ ბრძოლაში დაბის მოსახლეობამ დიდი ორგანიზებულობა გამოიჩინა, მამაცობის მაგალითები გვიჩვენა. კოკისპირულ წვიმაში, წელამდე ცივ წყალში იდგნენ ადამიანები და მექანიზმების დახმარებით განსაკუთრებით სამაში ადგილებში აწყობდნენ რკინა-ბეტონის კუბებს, რომლებიც ოპერატიულად ჩამოიტანეს თბილისიდან. მარჯვედ მოქმედებდნენ მებულდოზერეები შალვა იავლიაშვილი, თენგიზ კურტაევი, იური კასოევი და მრავალი სხვა. ერთსულოვნად შეთანხმებული მოქმედებით მათ შეძლეს მოეთოკათ გამძვინვარებული სტიქია. დაბის დატბორვის საფრთხემ, ძირითადად, გადაიარა. წყლის დონე თანდათან ეცემა.

სტიქიის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება.

სიახლე

სასწაულმოქმედი აფსკი

ვოლგოგრადის დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის ქიმიურ კომბინატში პირველად ჩვენს ქვეყანაში მიიღეს კრეხალონის აფსკი. გარეგნულად მას ვერ გაარჩევ ჩვეულებრივი პოლიეთილენის აფსკისაგან, მაგრამ თავისუფლად შეუძლია შეცალოს... მაცივარი. ოცდაათგრადუსიანი სიცხის დროსაც სრულიად თამამად შეიძლება მასში პროდუქტების შენახვა. აფსკს ნსეთ თვისებებს სპეციალური ქიმიური დანამატები ანიჭებს.

ალბათ შორს არ იქნება ის დღე, როცა იანვარში ან თებერვალში მაღაზიაში შევიძენთ კარგად შენახულ ალვისტოს პამიდორს.

ახალ აფსკს ფართო გამოყენება ექნება თევზის რეწვის საქმეში. მეთევზეებს შეუძლიათ სპეციალურად აღჭურვილი გემების მოსვლამდე აფსკ-მაცივარში შეინახონ დაჭერილი თევზი.

ვოლგოგრადის ქიმიური კომბინატი ყოველ წელს გამოუშვებს 5 ათას ტონა სასწაულმოქმედ აფსკს. — იუწყება ეუონალი „რაბოტნიცა“.

მძიმე წიგნი

წლეულს, შემოდგომაზე ვენაში ხელასლა გამოიცემა ტელეფონის ოთხტომიანი წიგნი. ამ მწყანე, ნარინჯისფერი, ლურჯი და ყავისფერი ოთხტომეულის თვითეული ტომი დაახლოებით 3.640-გვერდიანი იქნება და 5,5 კილოგრამს აიწონის.

თვითეული ტომი 730.000-ზე მეტი ტირაჟით გამოიცემა. ფოსტას მოუდება 4.000 ტონა საერთო წონის მქონე 2,9 მილიონზე მეტი ტომის გადაზიდვა მოსახლეობისათვის.

ახალი ამბების საბჭენტ.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. 13 საათზე ყველაზე მეგი სითბო — 26 გრადუსი გალში აღინიშნა, ყველაზე დაბალი — 17 გრადუსი გაგრაში. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 22-25, მთებში 15-19 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ დამით კახეთში დიდი წვიმა მოვიდა, 13 საათზე აღმოსავლეთ საქართველოში ნალექი ყველგან შეწყდა, ყველაზე მეტი სითბო, 18 გრადუსი ახალციხესა და ხაშურში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 13-17, მთებში 14-18 გრადუსი სითბო იყო.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 18 გრადუსს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი მოსალოდნელი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იგრძნობა, დაბლობ რაიონებში 23-28, მთებში 17-22 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ღრუბ მეორე ნახევარში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭეკი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 12-17 გრადუსი სითბო.

თბილისში — 21-23 გრადუსი სითბო იქნება.

ტელევიზია

5 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის გარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „სემბრ“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — „მუსიკალური აბონემენტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ომის გრძელი გზა“ (I სერია) ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 17.25 — კინონარკვევი „კრეიცერის სონატა“, 18.15 — „ბეჭდვითი სიტყვის დღე“, 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე: „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საერთაშორისო დღიური“, 20.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ჩვენი სტუმრები“ — (სტუდიაში — ველოსპორტინტერთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილენი), 22.45 — „საესტრადო სუვენირები“.

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „1941-1945 წლების ზამთარი და გაზაფხული“ (I სერია), 19.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 19.35 — განცხადებები, 19.50 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 20.20 — დოკუმენტური ფილმი, 20.55 — მხატვრული ფილმი „რომანსი შეყვარებულზე“. (I სერია).

6 მაისი

პირველი პროგრამით

07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — უკრავს საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს საკონცერტო-საესტრადო ორკესტრი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ხაჩატურიანი — ფრაგმენტები ბალეტ „სპარტაკიდან“, 11.05 — ს. რახმანინოვი — კამერული ნაწარმოებები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „კომუნისტები ხარისხისათვის ბრძოლაში“, 12.15 — ი. ბობოხიძე — „კანტატა საქართველოზე“, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — სიმღერები ვ. ვუიაჩიჩის შესრულებით, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ვ. რიბალჩენკო — „ახალგაზრდული სუიტა“, 14.00 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 14.15 — დ. შოსტაკოვიჩი — მუსიკა კინოფილმებიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის — მ. გავრილოვის მოთხრობა „პატარა პარტიზანი“, 18.05 — ქართული ხალბალეტი მუსიკა, 18.45 — „ეკრანის მელოდიები“, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი — საუბარი „სკკპ მუშათა კლასის, მთელი ხალხის პარტიაა“, 19.20 — ს. ცინცაძე — პიესები ჩეხოსა და ფორტეპიანოსათვის, 19.45 — აფხაზური სიმღერები, 20.20 — საესტრადო კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „საბჭოთა საქართველო“ წელს გამოცემს...“, 21.40 — კონცერტი-საუბარი „ვ. სოფრონიცი“, 23.30 — მღერის ნ. ანდღულაძე.

ოპერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეროვნული ბიბლი